

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №8
2022 წლის 3 ივნისი

ქ. ლაგოდეხი

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №52 დადგენილებაში. (www.matsne.gov.ge, 28.12.2017. 010250020.35.167.016343).

მუხლი 2

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №52 დადგენილების დანართის „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახურის დებულების:

1.მე-3 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „კ¹“ და „კ²“ ქვეპუნქტები:

„კ¹) მშენებლობის ნებართვის, მშენებლობის ნებართვის კორექტირებასთან და ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების ვიზირებას;

კ²) ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე სამართლებრივი აქტების ვიზირებას.“.

2.დებულების მე-4 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „კ¹“ და „კ²“ ქვეპუნქტები:

„კ¹) მშენებლობის ნებართვის, მშენებლობის ნებართვის კორექტირებასთან და ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების ვიზირებას;

კ²) ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე სამართლებრივი აქტების ვიზირებას.“.

მუხლი 3

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

კარლო ჯამბურია

